

TestDaF თბილისში

ტესტ-ცენტრის ინფორმაცია TestDaF გამოცდის შესახებ

გოეთეს ინსტიტუტი თბილისი • DAAD-ს საინფორმაციო ცენტრი თბილისში
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DAAD და გოეთეს ინსტიტუტი თბილისი დაინტერესებულ პირებს, რომლებიც კარგად ფლობენ გერმანულ ენას, ყოველწლიურად რამდენჯერმე სთავაზობენ TestDaF გამოცდას.

ტესტში მონაწილეობა შეუძლიათ უცხოელ სწავლის მსურველებს, რომელთაც გააჩნიათ გერმანული ენის სოლიდური ცოდნა და სურთ გერმანიაში სწავლა ან სხვა მიზნებისთვის საყოველთაოდ აღიარებული ენის სერტიფიკატის აღება.

დაწვრილებითი ინფორმაცია საქართველოში გამოცდის ვადების, ფასების, აგრეთვე ჩვენი საინფორმაციო შეხვედრებისა და გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში გამოკრული საინფორმაციო პლაკატებიდან და აგრეთვე ქვემოთ მითითებულ მისამართებზე.

TestDaF გამოცდის დადებითი მხარეები ერთი შეხედვით

- **აღიარება:** TestDaF გამოცდა ოფიციალურად აღიარებულია როგორც გერმანული ენის დამადასტურებელი მოწმობა გერმანიის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად.
- **სიმარტივე:** გამოცდის ჩაბარება შესაძლებელია თბილისის ტესტ-ცენტრში. აქედან გამომდინარე არ არის საჭირო გერმანიაში გამგზავრება მხოლოდ უნივერსიტეტში ჩასარიცხი გერმანული ენის გამოცდის (DSH) ჩასაბარებლად. ტესტისთვის თქვენს რეგისტრაციას თავის თავზე იღებს ტესტ-ცენტრი.
- **ხარისხის კონტროლი:** გამოცდა შემუშავებულია გერმანელი სპეციალისტების ჯგუფის მიერ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ინსტიტუტში და მისი გასწორება ხდება ცენტრალიზებულად.
- **სამართლიანი:** ერთი და იგივე გამოცდა ტარდება მსოფლიოს მანქანებით ერთსა და იმავე დროს შეძლებისდაგვარად ერთგვარ პირობებში და ერთგვარი პროცედურით.
- **მომზადება:** თქვენ შეგიძლიათ კარგად მოემზადოთ ტესტისთვის, რადგანაც ის არის სტანდარტიზებული. ორიენტაციისთვის შეგიძლიათ გაეცნოთ აგრეთვე ტესტის ნიმუშებს. ამას გარდა შესაძლებლობა გაქვთ გაიაროთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოსამზადებელი კურსი.
- **შინაარსი:** TestDaF არის გამოცდა, რომელიც სპეციალურად უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად შემუშავდა და მისი შინაარსი და დავალებები ეხება უმაღლესი სასწავლებლების სფეროს. გამოცდით მოწმდება ენობრივი უნარ-ჩვევები, რომლებიც სწავლისთვის მართლაც მნიშვნელოვანია.
- **შედგები:** არ არსებობს „ჩაბარებული“ ან „არჩაბარებული“ გამოცდა, გამოცდის ყველა მონაწილე იღებს ენის სერტიფიკატს, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ენის ცოდნის დონე მის ოთხივე ნაწილში: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი.

ინფორმაცია და რეგისტრაცია ჩვენს საკონტაქტო პირებთან:

- ანე რიორიგი: DAAD-ს საინფორმაციო ცენტრი თბილისში, ზანდუკელის ქ. 16, ტელ: 92 09 26, ორშაბათი – პარასკევი: 14.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე, ელ.-ფოსტა: info@daad.org.ge
- გვანცა მჭედლიშვილი: გოეთეს ინსტიტუტი თბილისი, ზანდუკელის ქ. 16, ტელ: 93 89 45, 13 სთ-მდე ოთხშაბათის გარდა, ელ.-ფოსტა: spr@goethe-caucasus.net
- ანდრეა თომასი: ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, თამარ მეფის ქუჩა 59, გერმანული ენის კათედრა, ელ.-ფოსტა: a.thomas-daad@web.de